პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | შაბათი, 21 მარტი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 61 (749) 1 და 2 კ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელს. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განც ხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

შაბათს, 21—მარტს, დღის 12—საათზე ალმასკომის დარბაზში მოწვეულია ახალი შემადგენლობის ტფილისის ალმასკომის პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. ალმასკომის პრეზიდიუმის და სხვა ორგანოთა წევრთა არჩევნები.
2. მიმდინარე საკითხები·

ალმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის საბჭ. თავმჯდომარე
**ლ. სუხიშვილი.**

---

**შაბათს, 21 მარტს, დილის 11 საათზე, ალმასკომის დარბაზში მოწვეულია თბილისის ახალი შემადგენლობის ალმასკომის კომუნისტურ ფრაქციის სხდომა**

**დაუგვიანებლათ გამოცხადება ალმასკომის პარტიულ წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.**

**ალმასკომის კომფრაქციის ბიურო.**

## უწინარეს ყოვლისა განამტკიცე დისციპლინა.

წითელი არმიის მორიგ და ძირითად ამოცანას შეადგენს დისციპლინის განმტკიცება.

დაწყებული რიგის წითელარმიელიდან და გათავებული ნაწილის უფროსით ყველანი უნდა ზრუნავდენ დისციპლინის გამაგრებაზე.

უდისციპლინოთ წითელი არმია ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობა', ვინაიდან ფუჭეა ის ჯარი, სადაც არ არსებობს მტკიცე შეგნებული დისციპლინა.

ჩვენ არა ერთხელ და ორ ხელ გვითქვამს, რომ სანამ კაპიტალიზმი რკინის სალტესავით გარს არტყია საბჭოთა რესპუბლიკებს, მანამდი ომის საფრთხე არ არის აცილებული თავიდან. ამიტომაც წითელი არმია ყოველგვარ სახიფათო შემთხვევისათვის მზად უნდა იყოს.

მზად მაშინ იქნება, მტერს მაშინ გაუმკლავდება თუ ძლიერი იქნება თავისი სულით და სამხედრო მომზადებით.

ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მის რიგებში იქნება ფოლადისებური რევოლიუციონური დისციპლინა.

დისციპლინა საფუძველია წითელი-არმიის სიმაგრისა და სიმტკიცის. ამ ურყევ საძირკველზე შენდება წითელი არმიის ძლევამოსილობა და დაუძლეველობა.

რევოლიუციონური დისციპლინის სათანადო სიმაღლეზე დაყენება შეიძლება მაშინ, თუ წითელი ჯარის თითეული შემადგენელი ელემენტი—წითელი-არმიელი, მეთაური თუ პოლიტმომუშავე ყველა ესენი თავისი პირადი მაგალითით ხელს შეუწყობენ ამ საქმეს.

ჩვენი დისციპლინა იქმნება არა ჯოხის და მათრახის საშუალებით, არამედ რევოლიუციონური შეგნებით—ანუ როგორც იტყვიან ზევიდან და ქვევიდანაც. ე. ი. რევოლიუციონურ დისციპლინას ქმნის როგორც რიგის წითელი-არმიელი ისე მეთაური, რომლებიც ორივენი ერთ მუშურ-გლეხურ ოჯახიდან არიან გამოსული.

დისციპლინის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწილის კომუჯრედის მუშაობას ამ მხრივ. აგრეთვე წითელ-არმიელს—კომუნისტს და წითელ არმიელ კომკავშირელს. ესენი მაგალითი უნდა იყვნენ ყოველთვის დისციპლინისა და სიმტკიცის. ყოველი მათი ნაბიჯი და მოქმედება მიმართული უნდა იქმნას დისციპლინის გაღრმავებისაკენ. აქეთკენ უნდა მოუწოდებდენ ისინი თავის უპარტიო ამხანაგებს.

როგორც ყოველთვის ისე დისციპლინის განმტკიცებაშიც კომუნისტი თუ კომკავშირელი წითელი-არმიელი უნდა იყოს პირველი.

მან ყოველმხრივ უნდა ეცადოს, რომ მისი ამხანაგები მას არ ჩამორჩენ. არა მარტო კომუნისტი წითელი-არმიელი არამედ მოწინავე უფრო შეგნებული უპარტიო წითელ-არმიელიც უნდა ახდენდეს გავლენას თავის შეუგნებელ ამხანაგებზე და მუდამ უნდა მოუწოდებდეს მათ დისციპლინის გაღრმავებისაკენ.

ამრიგად ჩვენი ამოცანა ნათელია-დისციპლინის გამაგრება და გამტკიცება ჩვენ წითელ ჯარში. საჭიროა მხოლოდ დაუყონებლივ შევუდგეთ მის განხორციელებას.

**განამტკიცე დისციპლინა!**

აი რა უნდა ახსოვდეს მუდამ მუშების და გლეხების ინტერესების დამცველს წითელ-არმიელს.!

# საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნარიმანოვის გარდაცვალება.

**19 მარტს, საღამოს 8 ნახ. საათზე გულის სიდამბლით მოულოდნელად გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი.**

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საბჭოთა კავშირის ცენტრალური ალმასკომის წევრებს, რომ 19 მარტს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე გულის სიდამბლით მოულოდნელად გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი.

დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.



ამხ. ნ. ნარიმანოვი.

## ამხ. ნარიმანოვის ბიოგრაფია.

ამხ. ნარიმანოვი დაიბადა 1870 წელს ტფილისში. დაწყებითი განათლება მიიღო სამასწავლებლო სემინარიაში. 10 წლის სახალხო მასწავლებლის თანამდებობაზე სამსახურის შემდეგ მან ჩააბარა სიმწიფის მოწმობაზე გამოცდები და შევიდა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე.

ამ დროს იწყება მისი საზოგადოებრივ-რევოლიუციონური მოღვაწეობა. 1905 წელში ის პირველი უყრის საფუძვლებს ბაქოში სპარსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციას.

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ნარიმანოვის რევოლიუციონური მოღვაწეობა ძლიერდება, მაგრამ სწყდება დროებით, რადგანაც მას აპატიმრებენ ტფილისში. 7 თვის პატიმრობის შემდეგ ნარიმანოვს ასახლებენ კავკასიის საზღვრებიდან 5 წლის ვადით.

1917 წლამდი ამხ. ნარიმანოვი სცხოვრობს ბაქოში და მუშაობს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში „გუმმეტ“, რომელიც 1917 წელს შეუერთდა რკპ. ს. ნარიმანოვი რჩება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

1917 წელს, სამოქალაქო ომის შემდეგ ამხ. ნარიმანოვი სახალხო კომისართა საბჭოს წევრია მაშინ ჯერ კიდევ ერთი ბაქოს მაზრისა—ქალაქის მეურნეობის კომისარის სახით.

ნარიმანოვის სახელმწიფო მოღვაწეობა ფართოვდება 1919 წლიდან.

ის გაწვეულ იქნა მოსკოვში, სადაც მოხსენების შემდეგ აღერბეიჯანის მომავალის შესახებ, დატოვებულ იქნა მოსკოვში საგარეო საქმეთა კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების გამგედ.

ერთხანს ნარიმანოვი ასრულებს ეროვნულ საქმეთა კომისარის მოადგილის თანამდებობას.

1920 წელს ის არჩეულ იქნა აღერბეიჯანის რევკომის თავმჯდომარედ, ხოლო, შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

ნარიმანოვი მონაწილეობდა გენუას კონფერენციაზე, რის შემდეგ არჩეულ იქნა ამიერ—კავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარედ და ბოლომდის დარჩა ამ თანამდებობაზე.

გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა ნარიმანოვმა 25 წელი იმუშავა ლიტერატურულ დარგში. მის კალამს ეკუთვნის აღმოსავლეთში ცნობილი რომანები, მოთხრობები და დრამები, რომელთაც შინაარსად უდევს საზოგადოებრივი მოტივები.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის პრეზიდენტის არჩევნების წინ.

გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი რუტ—ფიშერი ასე ახასიათებს გერმანიის მდგომარეობას პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით:

„ბურჟუაზია სცდილობს თავისი მდგომარეობის განმტკიცებას გერმანიის ანტანტაზე დამორჩილებით. გერმანიის მმართველ კლასებში საარჩევნო ბრძოლა აშკარა სახით სწარმოებს.

ებერტის გარდაცვალება მოულოდნელად წააწყდა თავს ბურჟუაზიულ პარტიას.

მემარჯვენეები ვერ არიან იმდენად მომაგრებული, რომ წამოაყენონ მონარქისტული კანდიდატურები. რესპუბლიკანურ საშუალ პარტიებში ვერ არის ერთსულოვნება; ამან გამოიწვია ის, რომ სოციალ-დემოკრატებმა დამოუკიდებლად წამოაყენეს კანდიდატად პრუსიის პრემიერი—ოტტო ბრაუნი. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ—დემოკრატიამ წამოაყენა ეს კანდიდატურა არა [ნება]ყოფლობით: ის იძულებული იყო წამოეყენებია თავისი კანდიდატი, ვინაიდან კომუნისტებმა წამოაყენეს ტელმანი, რომელსაც ხმას მისცემს პროლეტარული მასები.“

შემდეგ ამხ. ფიშერი ეხება არჩევნების პერსპექტივებს (მომავალს) და აღნიშნავს აგრეთვე კომპარტიის გავლენისა და საქმიანობის გაძლიერებას მუშებისა და გლეხების მასებში.

## მარქსმა უარი განაცხადა პრეზიდენტობაზე.

მარქსმა უარი განაცხადა პრუსიის პრეზიდენტობაზე. მარქსი დროებით ასრულებს პრემიერის თანამდებობას.

## გალლში დაღუპულ მუშათა დასაფლავება.

19 მარტს დაასაფლავეს პოლიციის მიერ კრებაზე დახვრეტილი მუშები. სამგლოვიარო პროცესიაში დიდძალი წითელი დროშა ფრიალებდა.

საფლავზე სიტყვების წარმოთქმის დროს ფაბრიკა-ქარხნებში მიცემულ იქმნა სამგლოვიარო საყვირები. პოლიციასთან შეხლა არ ყოფილა.

## დაწვრილებითი ცნობები გალლის ინცინდენტის შესახებ.

სახალხო სახლის ზედამხედველმა სოციალ-დემოკრატმა აცნობა კრებას, რომ ყველა სათადარიგო გამოსავალი შენობიდან დაკავებულია პოლიციის მიერო. კრების 5.000 მონაწილე იძულებული იყვნენ მისწყდომოდენ ერთად-ერთ თავისუფალ კარს. პოლიციელებმა ასტეხეს სროლა. პოლიციის წევრები შემდეგ ტრაბახობდენ, რომ სამი წუთის განმავლობაში მათ 30-30 ჯერ გაისროლეს.

სანიტარულ რაზმს არ მისცეს ნება დაჭრილების მოვლისა. ცეცხლის მქრობელი რაზმიც არ იქნა დაშვებული მსხვერპლთა მისაშველებლად.

ბრალს სდებენ ზევერინგს, რომლის მოქმედებამ კომპარტიის წინააღმდეგ ნიადაგი მოუმზადა ასეთ ვერაგობას.

# ლანცუცკის პროცესის გარშემო.

## ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების პროტესტი ბურჟუაზიულ ძალმომრეობის წინააღმდეგ.

პოლონეთის მთავრობამ დაპატიმრა სეიმის დეპუტატი კომუნისტი ლანცუცკი, რომლის მიმართ მას განზრახული აქვს ცრუ-სოციალისტების დახმარებით გამოიტანოს სასიკვდილო განაჩენი.

ამიერ-კავკასიის ყოველი კუთხიდან მოდის პროტესტები ლანცუცკის გასამართლების წინააღმდეგ.

მუშები და გლეხები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ბურჟუაზიის ძალადობის წინააღმდეგ და მოითხოვენ ლანცუცკის განთავისუფლებას.

მიღებულია პროტესტის დეპეშები შულავერიდან, ზუგდიდიდან, სუხუმიდან, ბორჯომიდან, და მრავალ სხვა რაიონებიდან.



ამხ. ლანცუცკი.

# გრანდიოზული პროტესტი გალლში მომხდარ სისხლის ღვრის გამო.

ბერლინში მოხდა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 100.000 მეტი კაცი. დემონსტრაცია მიძღვნილი იყო გალლში თეთრი ტერორის მსხვერპლთა სახსოვრად.

დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები წარწერით:

„ძირს ლიუტერის მთავრობა. **ჩვენ მოვითხოვთ პოლიტპატიართა განთავისუფლებას. შურის ძიება გალლის მსხვერპლთა გამო.**

**ამოირჩიეთ ტელმანი.**

**გაუმარჯოს მოსკოვს!?"**

გამართულ იქნა მფრინავი მიტინგები. ქუჩებში დაძრწოდენ პოლიციის თარეშები, მაგრამ ერიდებოდენ შეტაკებებს. მრავალ სამრეწველო დაწესებულებებში გლოვის ნიშნად შეწყვეტილ იქნა მუშაობა 15 წუთით.

# პოლიტის მომტაცებელთა გასამართლება.

ლივერპულის სისხლის სამართლის ტრიბუნალში წარდგენილია: ვილიამ კოხრენგარაჟის მეპატრონე, მაკგაშენი—ბამბით მოვაჭრე, ჯემს ბრაუნ ფილდი-კომისიონერი და იოსებ ბრაუნერი—მკერვალი. ამათ ბრალად ედებად პოლიტზე თავდასხმა და მისი უკანონოდ დაკავება.

ბრაუნერი ყოფილა მთავარი მოქმედი პირი, კოხრენს მიჰყავდა ავტომობილი.

ლონდონის ერთი გაზეთი იტყობინება, რომ ბრალდებულებმა სცნეს თავი ბრიტანეთის ფაშისტების საზოგადოების წევრად.

# კერზონის ჯანმრთელობა უარესდება.

რეიტერის სააგენტოს ცნობით კერზონის ჯანმრთელობა უარესდება.

# სუნ-იატ-სენის დასაფლავება.

ჩინეთის ძალებმა ყოველგვარი ღონისძიება იხმარა, რომ სუნ-იატ-სენის დასაფლავებას არ ჰქონოდა რევოლიუციონური ხასიათი, მაგრამ ამაოდ.

დასაფლავება გადაიქცა დიდ დემონსტრაციად, რომელშიაც მონაწილეობდა 100.000 მეტი კაცი.

კუბოს ახლოს მიყვებოდა საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად კარახანი, გომინდანის პარტიის წევრი და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები

დანარჩენი უცხოელი მისიების წარმომადგენლები არ იღებდენ მონაწილეობას.

ყურადღებას იქცევდა ერთი ჯგუფი, რომელსაც მიჰქონდა საბჭოთა წითელი დროშა.

ისმოდა ხმები:

„განვახორციელებთ სუნ-იატ-სენის ანდერძებს.

ძირს იმპერიალიზმი და მილიტარიზმი.

გაუმარჯოს მჭიდრო კავშირს ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის!".

კუბო მოათავსეს ცენტრალურ პარკის დიდ დარბაზში.

შემდეგ გაიმართა მიტინგები. ორატორები მოუწოდებდენ მასებს—იბრძოლონ იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ და განამტკიცონ კავშირი საბჭოთა კავშირთან.

# სტიქიური უბედურება.

## ამერიკაში დაიღუპა 23 ქალაქი.

ამერიკაში ასტყდა საშინელი გრიგალი, რომელმაც გადაიარა სამხრეთ ილიონისზე, მისურზე და ინდიანაზე. დანგრეულია 23 ქალაქი. დაიღუპა ათასზე მეტი კაცი დაჭრილთა რიცხვი რამოდენიმე ათასს უდრის.

# ცეცხლი იაპონიაში.

ტოკიოში, ნიპორის კვარტალში გაჩნდა დიდი ცეცხლი რომელმაც სრულიად გაანადგურა 2.000 სახლი. ათასობით ხალხი უბინაოდ დარჩა. არის დიდძალი მსხვერპლი.

# სამხედრო საქმე

## ცოტა რამ ტერიტორიალური შევსებანის შესახებ.

I.

დიდიდან ოქტომბრის რევოლიუციისა, საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთხელ განუცხადებია ყველასათვის გასაგონარათ თავის მშვიდობიან მისწრაფებაზე და მოუწოდებდა სხვა სახელმწიფოებს შესდგომოდათ შეიარაღებულ ძალების შემცირებას.

თუმცა ჯერ-ჯერობით ამ საკითხს არ მიუღია დადებითი გადაწყვეტილება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფ. შეურყევლათ განაგრძობს სვლას მშვიდობიან პოლიტიკით, რომელიც შეიარაღებულ ძალების საკითხში გამოიხატება იმაში, რომ ცდილობს შემოიღოს ისეთი სისტემა შეიარაღებულ ძალებისა, რომელიც უმაღლესათ შეამცირებს მშრომელი ხალხის საწარმოვო მუშაობისაგან მოწყვეტის აუცილებლობას.

აი, დაახლოებით ასე იწყება საბჭოთა კავშირის მთავრობის დეკრეტი ტერიტორიალურ ნაწილების შექმნის შესახებ.

ხსენებულ დეკრეტში უკვე ნათლათ სჩანს, ის ძირითადი მიზეზი, რომელიც საფუძვლად დაედო კავშირში ახალი მილიციონური სისტემის ნაწილობრივათ შემოღებას.

ეს არის უმთავრესათ ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეურყევლად გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოთ შეუმსუბუქოს მშრომელ ხალხს, ის ზედმეტი გაჭირვება, რომელიც მას აწევდა სამხედრო ბეგრის მოხდით, და მას რამდენიმე წლობით მოსწყვეტდა თავის ოჯახს, და საწარმოვო შრომისაგან.

ამასთან ერთად ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თვით საბჭოთა ხელისუფლება სავსებით მშვიდობიანათ არის განწყობილი ყველა მეზობლებთან და მას სრულებით არ ესაჭიროება ისეთი შეიარაღებული ძალა, როგორც ყავს სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. მაგრამ აქ მდგომარეობა სრულებით არ უწყობს ხელისუფლებას სავსებით განახორციელოს დასახული მიზნები.

ეს არის ის, რომ საბჭოთა კავშირი ირგვლივ მტრულათ განწყობილი სახელმწიფოებით არის გარშემორტყმული. უკანასკნელნი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ დაახრჩონ დედამიწაზე ერთად ერთი მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა იწვევს იმას, რომ უკანასკნელი იძულებულია ხსენებულ მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს და იყოლიოს შეიარაღებული ძალა იმდენათ, რამდენათ ეს საჭიროა კავშირის თავდაცვისათვის.

მუდმივი შეიარაღებული ჯარების ყოლა აუარებელ ხარჯებს იწვევს. კავშირისათვის ეს აუტანელია იმდენათ, რამდენათ შეიძლებოდა ხსენებული ხარჯების უფრო სასარგებლო და სამეურნეო კედაროზე დახარჯულიყო. ასეთი შემთხვევაში უკეთესია ისეთ სისტემას მივმართოთ რომელიც ნაკლებ ხარჯებს გამოიწვევს და იმავე დროს არ ჩამოუვარდება მუდმივ შეიარაღებულ ძალას არც თავის მომზადებით და არც მოძრაობის უნარით. ეს იქნება სამილიციო სისტემა, რომლის გარდამავალ ხანას წარმოადგენს ეგრედ წოდებული, ტერიტორიალური სისტემა.

ეს არის მეორე მხარე ახლად შემოღებულ სისტემისა.

ხსენებული სისტემის უპირატესობა ყველასათვის თვალსაჩინო და საგრძნობია. დღეს უკვე ნაწილობრივათ შემოღებულია ტერიტორიალური ნაწილები, როგორც რუსეთის ისე ნაციონალურ ჯარებში. ახლო მომავალში ჩვენ უკვე სავსებით გადავალთ ახალ სისტემაზე. ეს იქნება პირველ ხანებში ტერიტორიალურ სისტემა, რომელიც საბოლოოთ შეიცვლება სამილიციო სისტემით.

**გან.**

# თეთრი ტერორი ვერ უშველის პოლონეთის მჟვლეფელებს.

ცუდათ მიდის ბურჟუაზიული პოლონეთის საქმე ამ ბოლო ხანებში. თუმცა მას არას დროს არ ჰქონია კარგად საქმე, მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებში მაინც, როგორც საგარეო ისე შინაური მდგომარეობა პოლონეთის მეტად შეირყა.

რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო ირღვევა პოლონეთის სახალხო მეურნეობა. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე მისი ფინანსებიც. ეკონომიური კრიზისი თავის მხრივ იწვევს მუშების რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას. მიწის საკითხის გადაუჭრელობის გამო გახშირდა გლეხთა აჯანყებებიც. ვარგისი მიწების ორი მესამედი იმყოფება მემამულეების ხელში, დანარჩენი ერთი მესამედი კი გლეხებს აქვს, რომლებიც მთელი მოსახლეობის 64 პროც. შეადგენენ.

როგორ ეყოფა ასეთი მცირე რაოდენობა მიწის გლეხებს? ცხადია არ ყოფნის და ამ ნიადაგზე ისინი ებრძვიან მემამულეებს.

ბურჟუაზიული პოლონეთი სჩაგრავს მუშებთან და გლეხებთან ერთად აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებს. პოლონეთის საზღვრებში ცხოვრობენ უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები და სხვა. ამ უმცირესობებს სასტიკად სდევნის პოლონეთის ბურჟუაზია.

პოლონეთის მთავრობამ აუკრძალა ამ ერებს თავის ენაზე ასწავლონ თავიანთ შვილებს. ისინი იძულებული არიან აღზარდონ შვილები პოლონურ ენაზე. როცა ეს დაჩაგრული ერები მოითხოვენ ერთგვარ ავტონომიურ უფლებებს, პოლონეთის ბურჟუაზია სასტიკი ძალადობით და თეთრი ტერორით უპასუხებს მათ. ცხადია რომ ეროვნული უმცირესობანიც ებრძვიან პოლონეთის გაბატონებულ კლასებს და მიისწრაფვიან თავი დააღწიონ მათ მონობას.

ამნაირად პოლონეთის ბურჟუაზია თავისი სიმკაცრით და ტერორით მშრომელთა მასების მიმართ, თვით უწყობს ხელს რევოლიუციონური ძალების ზრდას და კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის გადიდებას მშრომელთა ფართო მასებში. უკმაყოფილება არსებული რეჟიმით პოლონეთში დღითი დღე იზრდება და განადგურებით ემუქრება ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობას. განსაკუთრებით მდგომარეობა გართულდა ამ მხრივ მას შემდეგ, რაც ინგლისმა პირი იბრუნა პოლონეთისაგან და გადავიდა გერმანიის მხარეზე.

ცოფმორეული პოლონეთის ბურჟუაზია, გრძნობს რა მას, რომ მისი ბატონობის ნიადაგი საგრძნობლად შეირყა მთელ თავის ჯავრს იყრის იმაზე ვინც სასტიკად ებრძვის მას—კომუნისტურ პარტიაზე.

პოლონეთის ციხეები ავსებულია კომუნისტებით.

დღეს პოლონეთის ბურჟუაზიული სასამართლო ასამართლებს კომუნისტს ამხ. ლანცუცკის, რომელსაც ბრალს სდებს სახელმწიფო ღალატში და სიკვდილის დასჯით ემუქრება. ტერორით და დევნით სცდილობენ თავის ბატონობის გაგრძელებას პოლონეთის მჟვლეფელები მათ უნდათ სიკვდილით დააშინონ მუშები და გლეხები და მათი შეუდრეკელი ხელმძღვანელი კომპარტია. ამ საქმეში ბურჟუაზიას დიდი ენერგიით ეხმარება პოლონეთის გამყიდველი სოციალისტებიც.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ვერ შეაჩერებენ რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებას. წამებით და სიკვდილით კომუნისტებს ვერავინ ვერ შეაშინებს.

პირიქით რაც უფრო მკაცრი იქნება ბურჟუაზია მათდამი, მით უფრო სასტიკი და შეუბრალებელი იქნება კომპარტიის შეტევა ბურჟუაზიაზე.

**—მ.**

# ქარიშხალი შავ ზღვაზე.

18 მარტს შავ ზღვაზე ასტყდა ძლიერი გრიგალი.

# მხეცური თვითგასამართლება.

უკრაინის უზენაეს სასამართლოში შემოვიდა საკასაციო საჩივარი იმ პირთაგან, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სასჯელი თვითგასამართლების გამო.

საქმე შემდეგში ყოფილა:

სოფელ ბერეზოვკაში (მოგილევის ოლქში) გაჩნდა შინაურ საქონლის ქურდობა. ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარემ ზაბოლოტნიმ განაცხადა, ვითომც მას მიეღოს განკარგულება, რომ იხმაროს ყოველგვარი სასტიკი ზომები ქურდობის წინააღმდეგ.

ერთ გლეხს მოჰპარეს ხარი. მოიწვიეს ყრილობა. დაიწყეს შემჩნეულთა დაკითხვა, რომელიც მალე გადაიქცა შემაძრწუნებელ თვითგასამართლებად. დიდი სიმკაცრე გამოიჩინეს განსაკუთრებით კულაკებმა. სცემეს შვიდ შემჩნეულ პირს და ცოცხლად დაასამარეს მიწაში.

პოდოლიის სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულთ 8 წლის ციხე. ამ დღეებში საქმეს ხელახლად დაიწყებს უზენაესი სასამართლო.

# პარტიული ცხოვრება.

## ტომ არის საჭირო ავტობიოგრაფიის შემოწმება.

რამოდენიმე ხნის წინათ
ხმათ „პურის" განმარტე-
პარტ-კომისიამ შეიმუშა-
ა გადაუგზავნა ნაწილების
ტ-ორგანიზაციებს ინსტრუქ-
რომ პარტიაში შემომსვ-
ების ავტო-ბიოგრაფიები
ა იქნეს შემოწმებული იმ
ორგანოების მიერ, სადაც
პარტიაში შემომსვლელი
ობს ანდა, უკიდურეს შე-
ვაში, შეიძლება მის გა-
ც მოხდეს, მხოლოთ, აქ-
პარტიის ორი წევრი ადას-
ებს ავტობიოგრაფიის სის-
ეს სინამდვილესთან და თან
ის მოწერას კი ადასტუ-
რომელიმე უჯრედის მდ-
ი. ამ ინსტრუქციის ცხოვ-
ში გატარება ზოგიერთი
ნაგების აზრით შეუძლებე-
იქნებოდა და პარტიაში
მსვლელთ კი გაუძნელდე-
ათ შემოსვლა.
მოტივი არა ყურადსა-
ა, რადგან თუ ჩვენ გვინ-
რომ პარტიაში მივიღოთ
თუ ის პირი. ის უნდა იქ-
შესწავლილი ყოველმხრივ.
დროს თუ თვით შემომ-
ლი პირი მართლა დაინ-
ესებულია პარტიაში შემო-
ით და სწამს კომუნისტუ-
მოძღვრება ის ყოველთვის
ერხებს თავის ავტობიოგ-
იის შემოწმებას. მე აქ ავ-
შნავ ერთ საინტერესო შე-
ვევას, რომელიც შეეხება
ზიის ფარგლებში მომუშა-
ერთ-ერთ პიროვნებას. ამ
ზე ამას წინეთ ცნობა მო-
ოდეს, რომ ის არა კომუ-
ტური ელემენტიაო. ჩვენ
ნაგების ყოველივე ცნობებს
ობით, მაგრამ მაინც შე-
ვეკითხეთ ადგილობრივ პარტ-
ორგანიზაციას, საიდანაც მი-
ვიღეთ ისეთი ცნობები, რომ-
ლებიც ეთანხმებიან ამხ. განც-
ხადებას. აღმოჩნდა, რომ აღნიშ-
ნული პირის ავტობიოგრაფია
თავიდან ბოლომდე სიყალბეს
შეიცავს. დასახელებული მაგა-
ლითები ავტობიოგრაფიაში, თით-
ქოს მას დიდი სამსახური გა-
ეწიოს კომუნისტური პარტიის-
თვის, მტკნარი სიცრუე აღმო-
ჩდა. ასე რომ აღნიშნული პი-
როვნება მართლაც უცხო ელ-
ემენტია პარტიისათვის და შე-
მოდის პარტიაში იმიტომ, რომ
თბილი ადგილი მიიღოს. ასე-
თები შეიძლება კიდევ ცდილ-
ობენ პარტიაში შემოსვლას,
მაგრამ ჩვენმა სამხედრო პარტ-
ორგანოებმა ამათთვის მაგრათ
უნდა გამოხურონ კარი ისე,
რომ ცალი თვალითაც ვერ შე-
იხედონ შიგ. აღნიშნული პი-
რი მიღებული ყავს სამოქალა-
ქო ორგანიზაციას.

მე კიდევ გავახსენებდი ჩვენს
ამხანაგებს თვალი დაიჭირონ,
რომ პარტიის რიგებში არ შე-
მოგვეპაროს არამზადა ელემენ-
ტები და ამავე დროს თუ კი
გვყავს პარტიის რიგებში ვინ-
მე ასეთი, დროზედ დაგვეხმა-
რონ მისი გაძევების საქმეში.
რაც შეეხება ავტობიოგრაფიის
სინამდვილის შემოწმებას, ეს
უნდა ხდებოდეს თანახმად ინ-
სტრუქციისა. ამ რიგათ ეს გა-
რემოება შეიქნება ერთ-ერთ
მნიშვნელოვან საწინააღმდეგო
ზომად, რომელიც მიმართუ-
ლი იქნება პარტიაში არა საი-
მედო, კარიერის გაკეთების მი-
ზნით, შემომსვლელთა წინააღ-
მდეგ.

ს. ლ—ძე.

## ჩვენს უჯრედში.

არტის პირველ რიცხვებში
დგა მე-3 მე ლეგიონის მე-4
კომუჯრედის კრება, რომე-
ედაც განხილული იქნა შემდ-
საკითხები: მოხსენება მშრ-
ლ ქალთა საერთაშორისო
ის მნიშვნელობაზე; კომ-
შირის ჯგუფის ორგანიზა-
რის გამოყოფა; და პარტი-
მისაღებ ამხ. განცხადებე-
განხილვა. ქალთა დღის
შვნელობაზე მოხსენება გა-
თა ამხ. ს. გეგიამ, რომელიც
ცლად შეეხო თუ რას წარ-
ადგენს დღეს ბურჟუაზიული
ელმწიფოებში მშრომელი
ი და როგორ უყურებს
ლთა საკითხს ჩვენი ხელ-ს
ლება და კომპარტია, მოხ-
ების გარშემო კრებამ გამო-
ნა შესაფერი რეზოლიუ-
ა.

კომკავშირის ჯგუფის ორ-
განიზატორათ გამოყოფილი
იქნა ამხანაგი პ. ლომთათიძე.
შემდეგ კრებამ განიხილა ამხ.
კბილაძის განცხადება პარტიის
კანდიდატათ მიღების შესახებ.
კრებამ ერთხმად დაადგინა
ეთხოვოს ბიურო-კოლექტივს
კბილაძის პარტიაში მიღების
შესახებ.
კრებამ გაარჩია აგრეთვე წ.
არმიელ დონდუაშვილის საქმე,
რომელიც დიდი ხანი არ არის
რაც პარტიის კანდიდატათ იქ-
ნა მიღებული. გამოირკვა რომ
ეს ამხანაგი ყოფილა ძლიერ
ცუდი ყოფა-ქცევის და ჩვენი
პრესტიჟის შემლახველი, რაზე-
დაც უჯრედმა მიიღო სათანა-
დო ზომები მისი პარტიის რი-
გებიდან გაძევების შესახებ.

პარტკორი: გ. გადახაბაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

### ახკომკავშირელთა გაერთიანებული კრება

15 მარტს საარტილერიო ლეგიონის კლუბში შესდგა
კომკავშირელთა გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც
ესწრენ მუშფაკის მესამე უჯრედის წარმომადგენლები, რო-
ებიც დაკავშირებული არიან არტ-სკოლის ახალგაზრდა-
ლენინურ კავშირის უჯრედთან. დღის წესრიგში იდგა
მდეგი საკითხები: წინა კრების ოქმის დამტკიცება და
თელ-არმიის სტრუქტურის შესახებ მოხსენება.




## ამხ. კორკი 4-ხე ლეგიონში.

მეოთხე ქართულ ლეგიონს ამას წინად ესტუმრენ ამიერ-კავკასიის წითელ დროშოვან არმიის უფროსი ამხ. ამხ. კორკი და მომარაგების უფროსი.

სტუმრების მოსვლამ ძლიერ ასიამოვნა მთელი ლეგიონის შემადგენლობა. განსაკუთრებით ძლიერ ასიამოვნა ამხანაგებში არმიის მთავარ სარდლის ამხ. კორკის ნახვამ.

სტუმრებმა დიდი ყურადღებით დაათვალიერეს ყველა ასეულები, რიმელთა მორიგეები ცოცხლად და მკვირცხლათ აძლევდენ პატაკს. ამხ. კორკი გაეცნო წ. არმიელების ყოფა-ცხოვრებას და დაწვრილებით ეკითხებოდა წ. არმიელებს მათ მდგომარეობაზე, სამსახურის კმაყოფაზე და სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, რაზედაც წითელ-არმიელები სათანადო პასუხს აძლევდენ.

საერთოდ ამხ. კორკის მხიარულმა შეხვედრამ ძლიერ გაახარა ამხ. არმიელები რისთვისაც მკვირცხლად აძლევდენ პასუხს ყველა შეკითხვებზე.

ამხ. კორკი ესტუმრა აგრეთვე ლეგიონის სამზარეულოს და დაათვალიერა ის და წ. არმიელების სასადილოც იმ დროს, როდესაც წ. არმიელები სადილს შეექცეოდენ. მთავარ სარდალმა სათითაოდ ჩამოუარა წ. არმიელებს, ათვალიერებდა მათ ულუფას და თან ეკითხებოდა მათ კმაყოფის შესახებ.

ამის შემდეგ ამხ. კორკი დაგვემშვიდობა და წავიდა.

სამხკორი: მ. ქოჩიაშვილი.

## 1-ლი ლეგიონის სამნეო გუნდში.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდში ფართო კამპანიები იქნა ჩატარებული პარიზის კომუნის 54 წლის თავის აღსანიშნავად.

ამ ჟამად მიმდინარეობს საუბრები კომუნის ისტორიის ირგვლივ, შუქდება კომუნის გმირობა და მისი დამარცხების მიზეზები კეთდება მოხსენებები რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებაზე და სხვა. ჩატარდა მოგონებები რუსეთის რევოლიუციონერების ტყვეობაზე, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა წ. არმიელებზე.

18—მარტისთვის გამოვიდა კედლის გაზეთი „წითელი სხივი" სახელწოდებით ბატარეის მწყობრთან შეთანხმებით.

გაზეთი მდიდარია თავისი შინაარსით და მიმზიდველი გარეგნულად.

ჩვენი გუნდი ინტერნაციონალურია. აქ შეხვდებით სხვადა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რომელთა უმრავლესობამ წერა-კითხვა სრულებითაც არ იცოდნენ, მაგრამ ენერგიული მასწავლებლების დახმარებით თავისუფლად შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გუნდის წ. არმიელები მოკლე ხნის განმავლობაში შესძლებენ მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ჯარის ყოველდღიური გაზეთშიც.

ა. მახილაძე.

## 3-მე ლეგ. რემედასის უჯრედებში.

მესამე ლეგიონის რემედასის უჯრედები თანდათან ყალიბდებიან და აწარმოებენ ნორმალური მუშაობას.

თერთმეტსა და თორმეტ მარტს ლეგიონის ყველა ასეულებში დაარსებული იქნენ რემედასის ბიუროები, რომლებსაც უკვე მიეცათ სათანადო ინსტრუქციები მუშაობის საწარმოებლად.

ჯერ-ჯერობით ლეგიონში მოწყობილი გვაქვს სამი რემედასის კუთხე. ვფიქრობთ და ალბად ამ დღეებში დაარსდება ასეთი კუთხეები ყველა ასეულებში.

ერთი გარემოება გვიშლის ხელს, რომ ეს განზრახვა საჩქაროდ მოვიყვანოთ სისრულეში. არა გვაქვს საკმაო წიგნები—ლიტერატურა. მართალია მივიღეთ ზოგიერთი წიგნები, მაგრამ ძლიერ ცოტა და ისიც ამხ. სამხკომის დახმარებით.

ლეგიონის უფროსი ამხანაგები ძლიერ გვეხმარებიან ამ საქმეში.

წინა კრების ოქმი დამტკიცებული იქნა ზოგიერთი შესწორებების შეტანით. მეორე საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. მამალაძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო წითელი არმიის ისტორიას, მის წარმოშობას და თანდათანობითი განვითარებას. ამხანაგმა გაგვაცნო აგრეთვე ტერ-სისტემის შემოღების აუცილებლობა, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა. მოხსენებამ მრავალი საინტერესო შეკითხვები გამოიწვია. საერთოდ მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო.

პარტკორი ბ. ცაგარეიშვილი.

18 მარტისთვის თავიდანვე გვქონდა სამზადისი, მოვამზადეთ დღის შესაფერი პიესები და სხვა.

სხვა და სხვა ტეხნიკური საქმეების მოსაგვარებლად ლეგიონმა გაიღო სათანადო თანხა.

პარტკორი ა. ჭკადუა.

## პარიზის კომუნის აღსანიშნავი საღამო არტლეგიონში.

18 მარტს არტლეგიონის კლუბში შესდგა პარიზის კომუნის 54 წლის თავის აღსანიშნავი საღამო.

მოხსენება კომუნის შესახებ გააკეთა ამხ. ადამიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო პარიზის კომუნის წარმოშობა, განვითარების და დამარცხების მიზეზებს. მან მკაფიოდ განმარტა პარიზის კომუნარების უმთავრესი შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კომუნის დამარცხებას.

პარიზის კომუნის გაკვეთილები მომხსენებლის აზრით ერთგვარი გზის მაჩვენებელი შეიქმნა ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელებისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიდაც არტლეგიონის უფ-პოლიტ და წითელ-არმიელთა შემადგენლობა მხედრულ ფიცს სდებენ, რომ მედგრად დაიცავენ პარიზის კომუნის დროშას და პარიზის კომუნარების სასიქადულოდ მთელ მსოფლიოს მოფენენ მათ (კომუნარების) იდეებს.

დასასრულ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა არტლეგიონის დრამწრის მიერ „პარიზის კომუნა" და მხიარული კომედია „ხოსიას ღელე". პიესები კარგად ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

უკანასკნელად გაიმართა ლექსთა თქმა, რომლებიც მიძღვნილი იყო პარიზის კომუნარების ხსოვნისადმი.

სამხკორი ლ—ო.

## სამხედრო პოლიტიკური სკოლის ბიბლიოთეკა.

სამხედრო პოლიტ-სკოლის ბიბლიოთეკაში ჯერ-ჯერობით მხოლოთ რუსული წიგნების დამუშავება სწარმოებს, რომელთაც არა აქვთ მაინცა და მაინც დიდი მოთხოვნილება. რადგანაც, პოლიტგანყოფილება აპირებს ქართული კეტერის გამოშვებას, ამიტომ იძულებული ვხდებით—ქართული წიგნების დამუშავება შევაჩეროთ—კეტერის ცხრილის გამოსვლამდე.

არა გვაქვს საინვენტარო დავთარი წიგნების შესატანათ, რაც წიგნების სწორ აღრიცხვისათვის აუცილებელია... სექციის უფროსი დიდი ხანია გვპირდება ასეთ წიგნს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივიღეთ. ბიბლიოთეკას არ ქონდა კატალოგი და ეხლა, წიგნების დამუშავებასთან ერთად ვადგენთ ბარათული სისტემის კატალოგს, როგორც ალფაბიტურს, ისე სისტემატიურსაც...

სამნეო ნაწილი დიდ ყურადღებას გვაქცევს:—გაგვიკეთა ერთი საბიბლიოთეკო კიბე, ორი ცალი საკატალოგო ყუთი, ორი წიგნების გამოსაფენი დაფა, რვა დიდი ჩარჩო—სურათებისთვის და სხვა...

პირველ აპრილიდან პერიოდულ გამოცემათა შესაძენათ სამი თვის განმავლობაში მივიღეთ 50 მანეთი. ამ ფულიდან ნაწილი იძულებული ვიყავით სხვადასხვა წვრილმან მასალებზე დაგვეხარჯა (ს.მნეო ნაწილის უფროსის თანხმობით) და ეხლა, როგორც ამხ. მნე გვპირდება დანაკლისს 50 მანეთზე შეგვივსებს, მაგრამ ეს არ კმარა... 50 მანეთი სკოლას სამი თვის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთებით ვერ დააკმაყოფილებს. . საჭირო იქნება ამ თანხის გაორკეცება, რომ საკმაო რაოდენობით მივიღოთ ჟურნალ-გაზეთები, როგორც ადგილობრივი—ისე ცენტრიდან პირველ ივლისამდე, მით უფრო, ეს დრო ჩვენი ბანაკათ გასვლის დროა და ალბათ იქ—პერიოდულ გამოცემებზე კიდევ მეტი მოთხოვნილება იქნება...

ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკაში მხოლოთ ერთი კაცის შტატია და მის გამოსასწორებლათ ეს სრულებით არაა საკმაო, რადგან აქ თითეულ წიგნზე საჭიროა 10-15 წუთი მუშაობა და ბიბლიოთეკარის ეს ტეხნიკური მუშაობა დაჩრდილავს საბიბლიოთეკო მუშაობის იდეურ მხარეს.

ანზორა.

## ექსკურსიები.

სამხედრო ნაწილები სხვა და სხვა პოლიტიკურსა და საკლუბო მუშაობასთან ერთად-ხშირად აწყობენ ექსკურსიებს. ათვალიერებენ ქალაქის მუზეუმს, ფაბრიკა-ქარხნებს და სხვა შესანიშნავ ადგილებს. ყველაფერი, რასაც კი ახალს გავიგებთ, რაც ჩვენს ცოდნას და გამოცდილებას გადიდებს კარგია, მაგრამ რადგანაც ჩვენ ცოტა დრო გვაქვს და იგი მეტად საშურია ჩვენთვის აუცილებელია დანიშნულ ამოცანათა და სამუშაოთა შერჩევა. მაგალითად: სამხატვრო გალერეიის დათვალიერებას სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის დათვალიერება სჯობია, რადგანაც ეს უფრო მეტს და გამოსადეგ მა-

სალის მისცემს წითელ არმიელს... აგრეთვე ბოტანიკური ბაღის ნახვაზე უფრო შინაარსიანი და სასარგებლოა ტყავ-ქარხნების დათვალიერება და შესწავლა. აქ ჩვენ გავეცნობით სხვა და სხვა სახის შრომას და მუშების მდგომარეობას, მუშათა ორგანიზაციის მუშაობას და სამხედრო ამუნიცის მზადებას.

ხოლო ყველაზე უფრო ადრე სამხედრო ნაწილმა სამხედრო დაწესებულებები და შესანიშნავი იარაღები უნდა დაათვალიეროს: მაგ. შორს მსროლელი, მძიმე ზარბაზნები, ტანკები და სხვა. საერთოდ შენიშნულია, რომ როდესაც ექსკურსიის ჩატარების შემდეგ მასზე სჯა ბაასი იმართება საექსკურსიო შრომა მეტ ნაყოფს იძლევა და ამხანაგებში ასეთი ახალი მუშაობის ინტერსს აღვივებს! წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ექსკურსიის ავ-კარგიანობაზე არაფერი ითქვა (რაც ხშირად ხდება) იგი უმნიშვნელოდ ჩაივლის და დროც ტყუილად დაიხარჯება... რომ ასე არ მოხდეს ყოველ ექსკურსიაზე საჭიროა რამდენიმე ამხანაგი აკეთებდეს შენიშვნებს, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს საუბრის გამართვა და ექსკურსიის გაშინაარსიანება! მივეჩვიოთ ჩვენი შრომის მეტ ნაყოფიერებას და ვიცოდეთ სად, როდის, რა სჯობია. ამ გზით შეიძლება მეტად გაადვილდეს ჩვენი კულტურულ—პოლიტიკური მუშაობაც.

საექსკურსიო მუშაობა, თუ მას შესაფერი ხელმძღვანელი ჰყავს, ძლიერ აღვივებს ახალი ცოდნის შეძენის ინტერესს და თვითმოქმედებისაკენ ლტოლვას. ეს უკანასკნელი კი ეხლანდელი სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია...

**ჩვენი.**

# საბჭოთა არჩევნების მსვლელობა.

**შორაპნის მაზრაში.**

უკანასკნელი ცნობებით შორაპნის მაზრის თემებში უკვე მოხდა არჩევნები გარდა გამოქვეყნებულ ცნობებისა, უკანასკნელი ცნობებით არჩევნების შედეგი შემდეგია:

**ბოსლევის თემი.** სათემო საბჭოში არჩეულია 23 წევრი. მათ შორის 4 კომუნისტი, 2 ქალი და 3 კომკავშირელი.

**მერევის თემი.** სათემო საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 47 წევრი' მათ შორის 10 კომუნისტი, 2 ქალი და 2 ახკომკავშირელი.

**პრევისას თემი.** საბჭოში გავიდა 38 დეპუტატი. აქედან 14 კომუნისტი, 9 ქალი და 6 ახკომკავშირელი.

— **დილიკაურის** სათემო საბჭოში აირჩიეს 22 წევრი, მათში 3 კომუნისტია 2 ქალი და 2 კომკავშირელი.

**ოზურგეთის მაზრაში.**

— **ჩოხატაურის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 61 დეპუტატი. მათ შორის 30 კომუნისტი და 3 ქალი.

— **ბუკის ციხეში.** საბჭოში გავიდა 18 დეპუტატი. მათ შორის 12 კომუნისტია და 4 ქალი.

— **დიდ ვანში.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 15 წევრი. აქედან 3 კომუნისტია და 2 ქალი.

# სამხედრო ტრიბუნალში

19 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა საქმე 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის არტლეგიონის მე-3 ბატარეის წ. მ. ალექსანდრე დიმიტრის ძე თავზარიშვილის საქმე. თავზარიშვილს ბრალი ედებოდა დეზერტირობასა და სახაზინო ქონების გაფლანგვაში. სასამართლოს ძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებულ თავზარიშვილს ჩაუდენია დეზერტირობა გ. წ. 4 დეკემბრიდან, რომლის შემდეგ ყოფილა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში.

გაქცევისას ბრალდებულ თავზარიშვილს თან წაუღია მასზე სახმარად გაცემული სახაზინო ნივთები 33 მანეთად ღირებული, რომლის ნაწილი გაუფლანგავს და ნაწილი გაქცევისას უყურადღებოთ დაუტოვებია.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას ორთავე ბრალდებისათვის სასჯელთა შეერთების სახით ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით და ქონების ნაწილის კონფისკაცია 5 მანეთის ღირებულებით.-

**ბნია.**

# შინაური ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

**ექიმობა ჯილეხისა და მისი აცილების საშუალებანი.**

4. იმ შენობიდან, თავლა იქნება იგი თუ ბოსელი, საიდაც ჯილეხიანი ცხოველი იდგა და მოკვდა, ნეხვი შორს მინდორში (სადაც ცხოველები არა სძოვენ) მკვდარი ცხოველების დასამარხ ადგილზე უნდა გავიტანოთ და იქ ან უნდა დავსწვათ იგი ან უნდა არა ნაკლებ სამი ალაბი სიმაღლისა მიწაში ჩავფლათ. თავლა-ბოსლის იატაკის ზედაპირი მიწაც ალაბის ერთ მეოთხედზე მაინც უნდა ავიღოთ და იმ ადგილზე გავიტანოთ და ჩავმარხოთ იგი, სადაც ნეხვი ჩავფალით.

ბოლოს ყველა ამასთან ერთად თავლის კედლები, ჭერი და იატაკიც 1 ნაწილი სულემისა და 1000 ნაწილი წყლისაგან ან 2 ნაწილი ქლორიანი კირისა და 100 ნაწილი წყლისაგან შეზავებული ხსნარების საშუალებით სასტიკ დეზინფექციის ქვეშ უნდა გავატაროთ და თავლისა თუ ბოსლის კარები ერთი კვირის ვადით ღია დავსტოვოთ.

5. ჯილეხით ავადმყოფი ცხოველი არასოდეს იმ შენობაში არ უნდა დავაყენოთ, სადაც საკვები, მოკაზმულობა და სხვა სამეურნეო თუ საოჯახო საგნები ინახება.

ასეთი ცხოველი აგრეთვე არც უნდა გავყიდოთ, არც უნდა სახორცეთ დავკლათ და არც მისი რძე დავლიოთ.

6. ჯილეხით ავადმყოფ ცხოველს საკვები უნდა ეძლეოდეს ცალკე და არა სხვა საქონელთან ერთად; მის მუდმივ მომვლელს არც არავითარი ჭრილობა და არც არავითარი გაფხაჭნილი კანზე არ უნდა ჰქონდეს.

თუ იგი ავადმყოფი საქონლის მოვლის დროს სადმე კანს გაიჭრის ან გაიფხაჭნის, უსათუოდ ეს ადგილი ან უწყლო კარბოლის სიმჟავით, ან გახურებული რკინით უნდა ამოიწვას, რომ მას ჯილეხი არ დაემართოს.

ის ურემი თუ სხვა რამე გადასაზიდავი საშუალება, რომლითაც ჯილეხით მკვდარი ცხოველის ლეში იქნება მისი სიკვდილის ადგილიდან გადატანილი მიწაში ჩასამარხავად ან უნდა მოსპობილი იქნეს, ან უნდა სასტიკ დეზინფექციის ქვეშ გატარდეს.

7. ჯილეხისაგან მკვდარი ცხოველის ლეში, მასზე ტყავის დასერის შემდეგ, უნდა ჩაფლულ იქნეს მიწაში არა ნაკლები სამი ალაბისა და იმ ადგილზე, სადაც ეს ლეში ეგდო უნდა მოსხმული იქნეს კირი.

8. ავადმყოფი ცხოველის მომვლელი პირი, ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ მას ჯილეხი არ გადაედვას და არც სხვას გადაადვას.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა იგი თავისი ტანისამოსით სხვა ჯანმრთელ ცხოველებს არ მიეკაროს და თუ საჭიროება არ მოითხოვს, არც ხელი მოჰკიდოს მათ.

ყოველი მოვლის შემდეგ მომვლელმა ხელები აუცილებლად საპნით კარგად დაიბანოს.

**ადამიანის ჯილეხი.**

ადამიანს იმავე გზით და იმავე ფორმით ემართება ჯილეხი, როგორც ცხოველებს.

ჯილეხით ავათ გახდომის დროს ადამიანი პირველად შეციებას გრძნობს, მერმედ თავის ტკივილს და ბოლოს ისეთივე ნიშნები უჩნდება მას, როგორიც ავადმყოფ ცხოველს. თუ ავად გახდომისათანავე შესაფერი ზომები იქნება მიღებული, შესაძლებელია ადამიანი სიკვდილს გადურჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში—კი ავადმყოფობა მთელ სხეულს მოუწამლავს მას და, მიუხედავად ყოველგვარი წამლობის, სიკვდილი მისთვის მაინც აუცილებელია.

დოსტაქარი ფარეიშვილი.

# შრომის სახალხო კომისარიატის განმარტება.

**საქ. შრომის სახალხო კომისარიატი ხელმეორეთ განმარტავს, რომ მუშა მოსამსახურეები-მწვევამდელები, რომლებიც მოწვეულნი არიან ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადებისათვის, განთავისუფლდებიან მუშაობისაგან და შეენახებათ მათ თანამდებობა და მიეცემათ მთელი ჯამაგირი (სამუშაო ხელფასით) სამხედრო მომზადების გავლის მთელი დროის განმავლობაში.**

# ახალი ამბები.

— **სესხი წვრილ მეურნეობებს.** მუშ. და გლ. ინსპექციამ დაავალა სასოფლო-სამეურნეო ბანკს შეისწავლოს ადგილებზე ცალკე მეურნეობისათვის სესხის მიცემის საკითხი.

— **შემოსავალი აბანოებიდან.** თებერვლის განმავლობაში ქალაქს შემოსვლია აბანოებიდან 31.658 მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში გასავალი უდრის 10.692 მანეთს.

— **ზაჰესის ელექტრო** ენერგიის გადასაცემათ ქალაქისათვის დამზადებული და ჩამოტანილია ტფილისში 150 რკინის ანძა.

— **უმუშევარ მასწავლებელთათვის.** შრომის კომისარიატის დადგენილებით გადაწყვეტილია გაიხსნას ახალი სამუსიკო სასწავლებელი უმუშევარ მუსიკის მასწავლებელთათვის სამუშაოს გამონახვის მიზნით.

— **მუშათა ჯანმრთელობისათვის.** შრომის დაცვის განყოფილებამ გადასწყვიტა მუშათა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით თამბაქოს ქარხნებთან მოაწყოს ჰაერის გასასუფთავებელი მანქანები.

— **აგრო დახმარება.** ამ ჟამად მიწ. მოქ. კომისარიატის ინიციატივით ყველა მაზრებში გაგზავნილია თესლის საწმენდი მანქანები, რომლებითაც წინდაწინ გაასუფთავებენ სათესლე ხორბალს.

— **ტრამვაის მოძრაობის** გასაადვილებლათ სამხედრო ჰოსპიტალთან გადაკეთებულია ტრამვაის ლიანდაგი.

— **საბინაო ამხანაგობები.** დღემდე ტფილისში დაარსებულია 46 საბინაო-საიჯარო ამხანაგობა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**მანქანის ზეთი, როგორც კანის კიბოს გამომწვევი.**

ერთი ინგლისელი ექიმი-ლეიჩი მრავალ ცდებისა და დაკვირვების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაწმენდილი მინერალური ზეთები, როგორიც არის ვაზელინის ზეთი, ანდა მანქანაზე სახმარებელ ზეთის მუდმივი ხმარების დროს შეუძლიათ გამოიწვიონ სხეულის კანის კიბო.

ამავე დროს საინტერესო ის არის, რომ კიბო არას დროს არ ჩნდება ხელებზე და ფერდებზე.

ყველაზე უფრო ასეთი კიბოს ავადმყოფობით სნეულდებიან საქსოვ მანქანებზე მომუშავე მუშები.

**რასიული შეუთვისებლობა ყელჭივრებისადმი.**

მიუხედავათ იმისა, რომ ყელჭივრება ძლიერ გავრცელებული სენია და იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც ეს სენი არ შეხვედროდეს, მაინც არიან ისეთი ხალხი, რომლებიც თითქოს დაზღვეული არიანო ამ სენისაგან და თვით ავადმყოფთან ახლო დგომითაც კი არ ხდებიან ავათ. (ყელჭივრება გადამდები სენია). ევროპაში ასეთი ხალხი უფრო იშვიათად მოიპოება.

ამ ჟამად დამტკიცებულია აღიარება ექიმებისაგან, რომ ეს თანდაყოლილი შეუთვისებლობა ყელჭივრებისადმი—რომელიც იშვიათია ევროპიელში—დამახასიათებელი თვისებაა ზოგიერთ სხვა რასის ხალხისათვის, რომელთა შორის ამ მხრივ უფრო განირჩევა ყვითელი რასა (იაპონელები და ჩინელები). ფაქტი, დიდი ხანი არ არი შემდეგ რაც მშვენივრად და[...] ტკიცა ერთმა გერმანელმა ექ[...] სისხლზე სხვა და სხვა ცდებ[...] მოხდენით.

ყელჭივრებისადმი ყვითე[...] რასის ასეთი თანდაყოლი[...] შეუთვისებლობა აიხსნება მა[...] სისხლის თავისებურობით, რ[...] მელშიც ყოველთვის იმყოფ[...] ყელჭივრების მიკრობებისა[...] საწინააღმდეგო ნივთიერება [...] ავადმყოფობას არ აძლევს გ[...] ვითარების საშუალებას. ყვით[...] კანიან ხალხის სისხლიანი შ[...] დის ასეთი თვისება, ძლიერ [...] უადვილებს სპეციალისტებს [...] შესწავლას და ამნაირად შეს[...] ლებელი იქნება გამოინახ[...] ყელჭივრებს საწინააღმდე[...] საექიმო საშვალება.

**საყურადღებო მიღწევა ავ[...] ციაში.**

ინგლისის საჰაერო სამინის[...] რო იუწყება კიდევ ერთ მ[...] წევის შესახებ ავიაციაში. ი[...] ლისში დიდი ხანია სწარმო[...] და ცდები ჰაეროპლანის წ[...] მიან ამინდში თავისუფლ[...] ფრენის გარშემო. სამინისტრ[...] ცნობით ეს ცდა ინგლისში [...] დი წარმატებით დამთავრებ[...] ლა. ჰაეროპლანები წვიმია[...] ამინდებში ფრენის დროს, [...] დიოს საშვალებით ღებულობ[...] ცნობებს ფრენის მიმართულ[...] ბისა და იმის შესახებ თუ [...] უნდა დაეშვას ძირს. ღამ-ღამ[...] ბით ჰაეროპლანების მიწაზე [...] შვება გაადვილებულია უზა[...] მაზარი პროჟექტორების მ[...] მარებით.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

რადგანაც გაზ. „წითელ არმიელის“ № 57-ში მოთავ[...] ბულ ამხ. ბოკოს წერილით შესწყვიტეთ კამათი ჩემდამი [...] მოყენებულ ბრალდებათა შესახებ, ნება მომეცით თქვენი [...] ზეთის საშვალებით გამოვიწვიო ამხანაგურ სასამართლოში [...] ბოკო და პასუხი გამცეს შემდეგ კითხვებზე:

1. მე უფრო დიდ ხანს ვრჩები ლეგიონში სამუშაოდ [...] ამხ. ბოკო?

2. შეიძლება თუ არა ჩვენ მოსამსახურე ვამუშაოთ [...] 9 საათზე მეტი?

3. ვისი საქმე უფრო გაფუჭდება ლეგიონში გვიან მო[...] ვლით და უნახივარ თუ არა როდისმე ბოკოს რომ მე უსაფუ[...] ლოდ სამსახურში დამეგვიანებიოს?

4. მე კავშირი მაქვს თუ არა სასადილოს გამგეობასთ[...] და რომელ საჩივრებზე არ გავეცი პასუხი?

5. საჭირო იყო თუ არა ჩემი პირადი შეხება და შეეძ[...] თუ არა მას მიემართა გამგეობისთვის, ან როდის მიმართა?

6. მეთაურთა სასადილოს ჩაის თავის დროზე აუდუღ[...] ლობის შესახებ ამდენი ყურადღების მიპყრობა იყო საჭი[...] თუ არა?

7. რომელ წყაროებიდან მოითხოვს ბოკო ყოველდღ[...] ურად მაგიდებზე გაზეთების გადაფარებას?

მე თვითონ ამხ. ბოკოს ვანდობ, როგორც დროის [...] ადგილის, აგრეთვე მედიატორების დანიშვნას.

**ა. შონია.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლა[...]

# განცხადება.

ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა აცხადებს მ[...] ქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 22 მარტს დღით [...] რას საათის 10-დან 15-მდე საჯარო ვაჭრობით იყიდება [...] თი სადღომი ცხენი. მსურველებს შეუძლიანთ მიიღონ მო[...] წილეობა. მისამართი ავლაბარი, ყოფილი მინგრელსკის [...] ზარმაში.

სკოლის ადიუტანტი.

.ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.